„სააკაშვილისაგან გამორიცხული არაფერია“

„არ მინდა პრეზიდენტობის კანდიდატად კარიკატურული ფიგურა ვიხილო“

გაზეთი „ყველა სიახლე“ – 3-9 აპრილი, 14, 2013 წელი

უკვე 150 დღეზე მეტი გავიდა, რაც ქვეყანას ახალი მთავრობა მართავს, ხოლო თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ დავუჯერებთ, დღევანდელ საქართველოში ყველაფერი ძალიან ცუდადაა: ეკონომიკური სტაგნაცია დაიწყო და ქვეყანამ წინსვლა შეაჩერა. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე თავის მოსაზრებებს გვიზიარებს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა:

– ვფიქრობ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის ის ოპოზიცია, როგორიც დღეს ქვეყანას სჭირდება, უფრო მეტიც – ეს ოპოზიცია კი არა, კრიმინალური მთავრობის ნარჩენია, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნავს. შეიძლება უცხოელები მოატყუონ და თვალში ნაცარი შეაყარონ, მაგრამ ქართველ ხალხს ესენი ვეღარ მოატყუებენ თუნდაც იმიტომ, რომ მათი კრიმინალური წარსული ყველას კარგად ახსოვს. რაც შეეხება ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, ვის, ვის და „ნაციონალებს“ ყველაზე ნაკლები აქვთ სალაპარაკო იმიტომ, რომ თუ ქვეყანაში არსებობს პრობლემები, ეს პრობლემები სწორედ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შექმნა და მემკვიდრეობით დაგვიტოვა. იმ მოკლე პერიოდში, რა დროშიაც „ქართული ოცნება“ დგას ქვეყნის სათავეში, უბრალოდ ვერ მოესწრებოდა სიტუაციის მკვეთრად გაუმჯობესება, ან გაუარესება. ერთ მაგალითს მოვიყვან: წელიწადზე მეტია, რაც ქვეყანაში აღინიშნება დეპრესიული მომხმარებლის ფენომენი, ანუ როდესაც ადამიანებს საჭირო რაოდენობის პროდუქტის შესაძენად ფული არა აქვთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქვეყანაში ადგილი აქვს დეფლაციას, ესე იგი, ფასების კლებას. ეს ფენომენი წელიწადზე მეტია გრძელდება და ეს არის მემკვიდრეობა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ე.წ. ნაციონალურმა ოპოზიციამ დაუტოვა.

– საერთოდ, ახალი მთავრობის საქმიანობას ასი დღის შემდეგ აფასებენ. უკვე 150 დღეზე მეტი გავიდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა?

– 25 მარტს ხუთი თვე შესრულდა, რაც ქვეყნის სათავეში ახალი მთავრობა მოვიდა. ამ დროში გამოჩნდნენ შედარებით აქტიური, წარმატებული სამინისტროები, გამოჩნდნენ მინისტრები, რომლებიც უფრო ყოჩაღები არიან და უფრო კარგად მოერგნენ სამთავრობი პოზიციებს, მაგრამ ამავე დროს გამოჩნდნენ პასიური სამინისტროებიც და მათი ხელმძღვანელებიც. პირველი 150 დღის განმავლობაში იმის შემდეგ, რაც ბიუჯეტი დამტკიცდა, ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო საკონსტიტუციო ცვლილებაზე, რომლითაც სააკაშვილს უნდა დაკარგვოდა სურვილი, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩაეტარებინა. სამწუხაროდ, ამან შეიწირა თითქმის ყველა თემა, მაგრამ მთავარი მაინც შედეგია, შედეგი, რომ აღნიშნული ცვლილება უკვე მივიღეთ, ეს კი ნიშნავს, რომ გაზაფხული ბევრად უფრო მშვიდი გვექნება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ ხუთი თვის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი სწორედ ეს კონსტიტუციური ცვლილებაა. მას საკმაოდ პოზიტიურად შეხვდა აშშ და ამ ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული ელჩი – რიჩარდ ნორლანდი, რომლის როლიც ამ საკონსტიტუციო ცვლილების მიღებაში, ისევე, როგორც 1 ოქტომბრის არჩევნებში, უმნიშვნელოვანესი იყო. ამით კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, რომ აშშ-ი მხარს უჭერს არა ხელისუფლებას, არამედ საქართველოს მოსახლეობას. ჩემი აზრით რიჩარდ ნორლანდის როლი „ნაციონალური ბოროტების“ დამარცხების საქმეში დასაფასებელია. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, რა თქმა უნდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ ეყოლება თავისი კანდიდატი, მაგრამ საეჭვოა ამ კანდიდატს რაიმე პერსპექტივა ჰქონდეს. რაღა თქმა უნდა, დიდი ალბათობით გაიმარჯვებს „ქართული ოცნების“ კანდიდატი, თუმცა ვისურვებდი, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ამ პოსტზე რომელიმე კარიკატურული ფიგურა არ წარმოადგინოს, ან ისეთი ფიგურა, რომელიც საყოველთაო გაღიზიანებას გამოიწვევს. ასეთ შემთხვევაში ხალხი გადაწყვეტს უბრალოდ არ მივიდეს არჩევნებზე, რაც ნამდვილად არ მოგვიტანს სიკეთეს.

– გავრცელებული ინფორმაციით, ძველი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ბიზნესმენებისათვის ჩამორთმეული ქონება სამ მილიარდ დოლარს აჭარბებს. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს თანხა სახელმწიფომ შიგა ვალად აღიაროს და ბიუჯეტიდან დაფაროს.

– მე ვფიქრობ, რომ ხელახლა უნდა დაზუსტდეს, რამდენია დაზარალებული და რამდენია ეს თანხა. გაუმართლებელია ასეთი მარტივი მიდგომა, რომ ყველაფერი ქვეყნის შიგა ვალად იქნას აღიარებული. სახელმწიფოს ხარჯზე ყველაფრის

გამოსწორება შეუძლებელია. თითოეული ბიზნესმენის საქმე ინდივიდუალურ რეჟიმში უნდა გადაწყდეს და თუ ზარალის აღდგენა ქონების დაბრუნებით შეიძლება, მაშინ ის უნდა დაბრუნდეს ქონებით, ხოლო თუ კონკრეტული პირის დანაშაული იკვეთება, ზარალის აღდგენა უნდა დაეკისროს სწორედ იმ პირს. მხოლოდ ამის მერე შეიძლება ლაპარაკი თანხაზე, რომელიც მეტნაკლებად რეალისტური იქნება და რომლის გადახდასაც ჩვენი სახელმწიფოს ვალდებულება იქნება. სამი მილიარდი ძალიან დიდი რიცხვია და მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ის რეალისტურია. ამიტომ ჯობია თითოეული შემთხვევა სასამართლომ ინდივიდუალურად განიხილოს. მართალია, სააკაშვილის დროს სახელმწიფო თრგუნავდა ბიზნესსაც და ჩვენს მოქალაქეებსაც, მაგრამ ეს სახელმწიფო მარტო სააკაშვილისა არ არის, ის ჩვენიცაა და რაც მეტ ვალს ავკიდებთ, მით უარესი იქნება ჩვენი ცხოვრება მომავალში. სამართლიანობა უნდა აღდგეს, მაგრამ ყველაფრის ერთ ქვაბში ჩაყრა და ერთიანად გადაწყვეტა გამართლებულად არ მიმაჩნია.

– ოფიციალური ინფორმაციით, მთავრობა ქართველ ექსპერტებთან ერთად ქვეყნის სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტზე მუშაობს და ამ პროცესში თქვენც ხართ ჩართული. როგორ შეიძლება შეფასდეს ეს ინიციატივა?

– მე მივესალმები ბატონ ბიძინა ივანიშვილის ამ გადაწყვეტილებას. ჩვენ გვჭირდება ხედვა, თუ საით მიდის ქვეყანა, როგორი უნდა იყოს საქართველო მომავალში, ან როგორი უნდა იყოს საქართველის ეკონომიკის მოდელი... ის, რომ მთავრობამ დაიწყო ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობა, მისასალმებელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მთავრობას გარკვეული ხარვეზებიც აქვს, საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ მაქვს განცდა, რომ ეს არის ჩემი მთავრობა. მგონი ეს განცდა სხვებსაც აქვთ. აქედან გამომდინარე, ძალიან მინდა მისი საქმიანობა წარმატებული იყოს. ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, რომ ამ დოკუმენტზე მუშაობაში ქართველი ეკონომისტებიც ჩართოს, ერთადერთი და სწორი გზაა. შედგა პირველი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ქვეყნის წამყვანი ეკონომისტები და ვფიქრობ, რომ ამა წლის პირველ ნახევარში დაიდება დოკუმენტი, სადაც იქნება ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკა უახლოეს წლებში და გრძელვადიან პერიოდში, ან რა მემკვიდრეობა დარჩება მთავრობას, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოვა ქვეყანაში. ჩანაფიქრი სწორია, სათათბიროს წევრები არიან ცნობილი ეკონომისტები და იმედია, ეს სათათბირო არ დაემსგავსება

იმ ავბედით საბჭოს, რომელიც სააკაშვილმა შექმნა 2005 წელს და დღემდე არსებობს, ოღონდ ქაღალდზე.

– ანუ 150-დღიან პერიოდს წარმატებულად აფასებთ?

– გამოგიტყდებით, შეიძლებოდა უკეთესი შედეგებიც ჰქონოდა, თუმცა ის, რაც გაკეთდა, საკმაოდ შთამბეჭდავია. საბედნიეროდ, დღეს ჩვენ გვაქვს განცდა, რომ „ნაციონალური ბოროტება“ ვერ შეძლებს კიდევ ერთი საფრთხე დაატეხოს თავს ქართველ ხალხს, თუმცა სააკაშვილისაგან გამორიცხული არაფერია.

ესაუბრა **ხათუნა ჩიგოგიძე**